

DOI: 10.54635/tpks.2022.46putk

**დიმიტრი ყიფიანი და სადადიანო  
(მისივე მემუარების მიხედვით)  
DIMITRI KIPIANI AND SADADIANO  
/DADIANI ESTATE/  
(ACCORDING TO HIS MEMOIRS)**

**მაგდა ჭიკაბერიძე**  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
თბილისი, საქართველო  
**ეკატერინე შაკიაშვილი**  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
თბილისი, საქართველო

**Magda Chikaberidze**  
Georgian Technical University  
Tbilisi, Georgia  
**Ekaterine Shakiashvili**  
Georgian Technical University  
Tbilisi, Georgia

**ABSTRACT**

Dimitri Kipiani deserves special attention among Georgian figures of the 19th century. Among contemporaries and descendants, his versatile work arouses wonder and admiration at the same time. He would handle every task in good faith and responsibly, carrying them out successfully.

D. Kipiani was the guardian of “Sadadiano” (the Dadiani Estate) in 1859-1867. In his memoirs, he gives a brief but interesting description of this period. In 1856-1857, a peasant revolt took place in Samegrelo, which was used as an excuse by the Russian Emperor Alexander II, who asked the widowed Queen of Samegrelo, Ekaterine Chavchavadze-Dadiani to move to Saint Petersburg with her children. He specified the reason for the foregoing as his desire to raise the underage Prince Niko Dadiani under his supervision, to later become a worthy ruler of Samegrelo. The affairs of the principality were taken over by the viceroy of the Caucasus and, as desired by the Mingrelian Queen, her brother - Davit Chavchavadze and her son-in-law (her younger sister, Sophia’s husband) - Alexander Nikolai were appointed guardians of the Dadiani estate, followed by the appointment of Dimitri Kipiani from 1859. He was a member of the State Council of at that time, which was a very honorable and high position. Of course, it was not easy to reconcile these two responsibilities. Therefore, D. Kipiani initially refused to accept guardianship of the Dadiani Estate, and later agreed at the request of Al. Baryatinsky, viceroy of the Caucasus. He, as usual, wholeheartedly took full responsibility for his duties, which was met with great resistance

from local Russian officials. After years, D. Kipiani analyzes the already distant case in his memoirs and considers the demonstrated resistance as the “unbelievable insolence and utter insult.”

The memoirs illustrate the personal qualities of D. Kipiani such as decency, responsibility, dedication, loyalty, fighting ability, and obedience to the law. Interesting are the portraits of the invaders - Russian officials (Al. Baryatinsky, viceroy of the Caucasus, N. Kolyubakin, the head of the Senaki uyezd, and K. Borozdin, the head of the Senaki uyezd), who made every effort to reinforce and strengthen Russian rule in Georgia.

The memoirist is sincere and impartial. He does not lie, nor does he exaggerate the facts. D. Kipiani’s memoirs are in complete agreement with other sources and, in themselves, represent a valuable historical source.

**საკვანძო სიტყვები:** რუსეთის მმართველობა საქართველოში (XIX ს.), სამეგრელოს სამთავროს ისტორია, დიმიტრი ყიფიანი – სადადიანო მამულის მეურვე.

**Keywords:** Russian rule in Georgia (XIX century), History of Samegrelo principality, Dimitri Kipiani -Guardian of the Dadiani estate.

მე-19 საუკუნის ქართველ მოღვაწეთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს დიმიტრი ყიფიანი. მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა თანამედროვეთა თუ შთამომავალთა თვალში ერთდროულად აღფრთოვანებასა და გაცოცხლებას იწვევს. დიმიტრი ყიფიანისნაირი ადამიანები თავიანთი ცხოვრებითა და ღვაწლით სხვებს პირდაპირობის, უკომპრომისობისა და სიმამაცის მაგალითს უჩვენებენ და თავზე წმინდანის გვირგვინს იდგამენ.

საინტერესოა დ. ყიფიანის მოღვაწეობა სამეგრელოში, სადადიანოში, სადაც ის არასრულწლოვანი მთავრის, ნიკო დადიანის, მეურვედ და უფლებების დამცველად მოგვევლინა (1859-1867). როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერიის მიზანი იყო საქართველოს სრული ანექსია, რასაც ის ეტაპობრივად ახორციელებდა. 1856-1857 წლებში სამეგრელოში მოხდა გლეხთა აჯანყება, რაც რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-მ (1818-1881) საბაზად გამოიყენა და სამეგრელოს ქვრივი დედოფალი ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა შვილებით პეტერბურგში გაიწვია. ის გაწვევის მიზეზად ასახელებდა თავის სურვილს, არასრულწლოვანი მთავარი მისი მეთვალყურეობით გაზრდილიყო. ამის შემდეგ სამეგრელოს საქმეები უშუალოდ კავკასიის მეფისნაცვლის ხელში გადავიდა, ხოლო 1867 წელს საბოლოოდ გაუქმდა სამეგრელოს „ავტონომიაც“. „სრულწლოვანებას მიღწეულმა ნ. დადიანმა თავის დაბადების დღეზე, 1867 წლის 4 იანვარს, იმპერატორ ალექსანდრე II-ს მიმართა უქვეშევრდომილესი მოხსენებით – იგი ხელს იღებდა სამეგრელოს მთავრის უფლებებზე და თავის სამთავროს რუსეთის უშუალო გამგებლობაში გადასცემდა“ (ყიფიანი 2020: 318). დ. ყიფიანი თავის მემუარებში ძუნწად, მაგრამ საინტერესოდ, მოგვითხრობს სამეგრელოში ამ პერიოდში განვითარებული მოვლენების

შესახებ. ის მთავრის ოჯახის რუსეთში გადასახლების მიზეზად გლახთა აჯანყებას ასახელებს. „იმ დროს, როდესაც სამეგრელოს მთავრინა მოსკოვში იმყოფებოდა იმპერატორ ალექსანდრე II-ის დაგვირგვინებაზე, სამეგრელოში გლახთ მოძრაობა მოხდა. ამიტომ შეიყვანეს შიგ ჩვენი ჯარები და დაამყარეს უშუალო მმართველობა.<sup>1</sup> ამან გამოიწვია 1857 წელს მთავრის მთელი ოჯახობის გაწვევა პეტერბურგში, რომ მცირეწლოვანი მთავარი ნიკო სათანადოდ აღეზარდათ; და რომ ამ ხნის განმავლობაში მისი ქონება დაცულიყო, ნაბრძანები იყო აპეკა დაენიშნათ“, – წერს დ. ყიფიანი (ყიფიანი 1830: 55).

მემუარისტის თქმით, მეურვეების არჩევა მინდობილი ჰქონდა მემკვიდრის შშობელს, ეკატერინე ჭავჭავაძეს, ხოლო დამტკიცება – მეფის მოადგილეს, ალექსანდრე ბარიათინსკის. მამულის საინვენტარო აღწერა მეფისნაცვლის საბჭოს წევრს, დიმიტრი ყიფიანს, დაევალა. მან სამთავრო მამული აღწერა მეფის მოადგილის, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის, სამეგრელოს დროებითი მმართველობის საბჭოსა და მთავრინას მიერ საგანგებოდ დანიშნულ პირებთან ერთად 1857 წლის ოქტომბერ-დეკემბერში. მისი შეფასებით, სადადიანო მამულს ყოველწლიურად 80 000 მანეთამდე შემოსავალი უნდა მიეცა. 1858 წლის 20 თებერვალს მან ანგარიში მეფისნაცვალს წარუდგინა. მემუარისტის თქმით, საინვენტარო აღწერის განხილვა მეფის მოადგილის საბჭოში გაუგებარი მიზეზის გამო ორ წელიწადზე დიდხანს გაგრძელდა.

საინტერესოა რუსი სახელმწიფო მოხელის კორნელი ბოროზდინის<sup>2</sup> თვალსაზრისი ამ საკითხთან დაკავშირებით. მკვლევარი თამაზ ჯოლოგუა მის ნაშრომებს – „ბატონყმობა საქართველოში“, „სამეგრელო და სვანეთი. 1854-1861. მოგონებანი“ – ტენდენციურობის მიუხედავად საქართველოს ისტორიის საყურადღებო წყაროებად მიიჩნევს. „[1858 წლის] თებერვალში დ. ი. ყიფიანი და ჭილაშვილი<sup>3</sup> მორჩნენ სამეგრელოს შემოვლას, – წერს

<sup>1</sup> „1857 წლის მაისის მიწურულს ეკატერინე დადიანი დაბრუნდა სამეგრელოში და აჯანყებულებს მოუწოდა წარმომადგენლები გაეგზავნათ მასთან მოსალაპარაკებლად. ოდესღაც მორჩილი ყმები ახლა გაურჩდნენ, არ ეახლნენ დედოფალს. სამეგრელოს თავადაზნაურობა მიხვდა, რომ ტკბილი სიტყვით ვერაფერს გახდებოდა, აუცილებელი ჩანდა შეირადებული ძალის გამოყენებით ხალხის დაწყნარება. რაკი თავადაზნაურობას საკმარისი ძალა არ გააჩნდა, დახმარება სთხოვა რუსეთის მთავრობის კავკასიურ ადმინისტრაციას. თხოვნა დაკმაყოფილდა; გენერალ კოლუბიაკინის 3-ათასიანი ჯარი სამეგრელოში შეიჭრა. უტუ მიქავამ მას 20-ათასიანი ლაშქარი დაუპირისპირა. გენერალს წარმატებაში ეჭვი შეეპარა და „გლახთა კეისართან“ მოლაპარაკების დაწყება ამჯობინა. უტუ მიქავამ რუს გენერალს წაუყენა კონკრეტული მოთხოვნები...“ (ლორთქიფანიძე... 2012: 56-57).

<sup>2</sup> ბოროზდინი კორნელი ალექსანდრეს ძე [9. (21) III. 1828 – 1. (13) IX. 1896, პეტერბურგი], რუსი მოხელე. 1848 დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიაში გაამწესეს. 1854 წლიდან იყო სამეგრელოს მმართველის ეკატერინე დადიანის მდივანი, მისი შვილების აღმზრდელი, 1857 წლიდან – სენაკის, 1860 წლიდან კი – თელავის მაზრის უფროსი. 1867 წელს დატოვა კავკასია. აქვს მოგონებები სამეგრელოსა და სვანეთზე. ეს ნაშრომი XIX საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის მნიშვნელოვანი წყაროა (ხანთაძე 1977: 476).

<sup>3</sup> მიხეილ იაგორის ძე ჭილაშვილი (1816-1870/1887 წლებს შორის) – დიმიტრი ყიფიანის ცოლისძმა, საიდუმლო მრჩეველი.

კ. ბოროზდინი, – აღნუსხეს მთავრის მამულები და ოლქის უფროსებს მოგვმართეს, გვეცნობებინა საბაზრო ფასები სამეგრელოს სოფლის ყოველგვარი ნაწარმოებისა, როგორც, მაგალითად, ხორბლისა, სიმინდისა, ღვინისა, საქონლისა და სხვ. და სხვ. ამან, ცოტა არ იყოს, გამაკვირვა და პასუხის მიცემაც გამიჭირდა. იმ გაჩანაგებულ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიაც მაშინ სამეგრელო იმყოფებოდა, ძნელი იყო, კაცს ნამდვილი ფასები შეეტყო“ (ჯოლოგუა 2007: 55). კ. ბოროზდინს 3 000 კომლი გლეხისაგან 80 000 მანეთის მოგროვება არათუ უსამართლობად, არამედ ფიზიკურად შეუძლებლად მიაჩნდა.<sup>4</sup> მისი თქმით, დ. ყიფიანი ცდებოდა. გლეხები ყაზახ-რუსების მათრახებით კიდეც რომ შეეშინებინათ, ამდენი ფული მთელ სამეგრელოს – 28 000 კომლს არ შეეძლო მიეცა. თანაც გლეხები გადასახადს ნატურით იხდიდნენ. ბატონი მათ ვერ უბრძანებდა, ქათმის მაგივრად ორი შაური მომეციო.

მემუარისტის გადმოცემით, ეკ. ჭავჭავაძემ მეურვეებად თავისი სიძე ალექსანდრე ნიკოლაი (უმცროსი დის, სოფიოს ქმარი), ძმა დავით ჭავჭავაძე და დიმიტრი ყიფიანი აირჩია. დ. ყიფიანმა მაშინვე უარი განაცხადა. საინვენტარო აღწერის მოლოდინში მეურვეები კმაყოფილდებოდნენ იმით, რასაც ადგილობრივი აგენტები უჩვენებდნენ. მეურვეების 1858 წლის ანგარიშებიდან მთავრინამ დაინახა, რომ მამულის ადმინისტრაციის ხარჯებს მხოლოდ 227 მანეთი გადარჩა. ამ ფაქტმა ისე განარისხა, რომ სამსახურიდან გაათავისუფლა ძმა და სიძე. მან დ. ყიფიანს ხელახლა მიმართა თხოვნით, როგორც ადამიანს, როგორც ქრისტიანს, თავის თავზე აეღო მისი მცირეწლოვანი შვილების ქონების დაცვა.

ეკ. დადიანის თხოვნის წერილი დ. ყიფიანმა მეფისნაცვალ ალექსანდრე ბარიათინსკის წარუდგინა: „თქვენს ბრწყინვალეებას მოეხსენება, რომ მე 1857 წელს გადაჭრითა ვსთქვი აპეკუნობაზე უარი. ახლა შვილებს მაფიცებენ, რომ უარი აღარ ვსთქვა. რადგან მე მაქვს პატივი თქვენი საბჭოს წევრობისა, თქვენს დაურიგებლად ვერ ვბედავ პასუხი მიცვე კნეინას“ (ყიფიანი 1930: 56). ბარიათინსკი ჩაემია, თუ რის გამო ამბობდა უარს. დ. ყიფიანმა სამი მიზეზი დაასახელა, კერძოდ, 1. სამთავრო მამულის აღწერილობის არქონა, რის გამოც გადასახადებში მუდმივად არეულობა იყო; 2. სამეგრელოში გავრცელებული აზრი, რომ მთავარი სამუდამოდ გადააყენეს და მამული, როგორც გურიაში, სახელმწიფო ხაზინას გადაეცემოდა. ამიტომ ყველა ცდილობდა, ქონება დაეტაცებინა. ბუნებრივია, მეურვეს ადგილობრივი მმართველების მხრიდან დიდი წინააღმდეგობა ელოდა. 3. მეურვე 2-3 თვით მაინც სამეგრელოში უნდა ყოფილიყო, რაც ადვილი არ იქნებოდა დ. ყიფიანისთვის, რომელიც მეფისნაცვლის საბჭოს წევრი იყო. ბარიათინსკი სრულ მხარდაჭერას დაჰპირდა, შენი მარჯვენა ხელი ვიქნებიო. დ. ყიფიანი დასთანხმდა. ის გაემგზავრა სამეგრელოში, სადაც „მეგობრებიც და მტრებიც, გარდა

<sup>4</sup> დ. ყიფიანის არქივში დაცულია ვრცელი მასალა სამეგრელოს სამთავრო ოჯახის უძრავ-მომრავი ქონების, სამეგრელოს სამთავროში სოციალური ურთიერთობების, მოსახლეობის ყოფისა და ა. შ. შესახებ. საინტერესოა სტატისტიკური მონაცემები 1854 წელს სამეგრელოს სამთავროს (საკუთრივ სამეგრელოს, ასევე, ლეჩხუმის) მოსახლეობის რაოდენობის შესახებ. დოკუმენტის მიხედვით, აქ ცხოვრობდა 19 244 კომლი: 117 151 ადამიანი, აქედან – 17 592 კომლი გლეხი: 99 760 ადამიანი (ყიფიანი 2020: 356-158).

მხოლოდ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისა<sup>5</sup>, დაუხვდნენ როგორც არსებული წესწყობილების მტერს“ (იქვე: 58).

თავის მემუარებში დ. ყიფიანი დაწვრილებით არ აღწერს, თუ რა წინააღმდეგობა ხვდებოდა ადგილობრივი მოხელეებისგან, როცა ის მცირეწლოვანი მემკვიდრის ქონების დაცვას ცდილობდა. მემუარისტი, როცა წლების შემდეგ დამშვიდებული ანალიზებს უკვე შორეულ საქმეს, გამოვლენილ წინააღმდეგობას მიიჩნევს ხელისუფლებისადმი „დაუჯერებელ თავხედობად და უაღრეს შეურაცხყოფად“ (ყიფიანი 1930: 59).

დ. ყიფიანის გადმოცემით, სამეგრელოს მაშინდელმა მმართველმა, გენერალმა ნიკოლოზ კოლიუბაკინმა<sup>6</sup> გამოუგზავნა ოფიციალური მოხსენება, რომ სამთავროს მამულიდან 13 000 მანეთზე მეტი შემოსავლის იმედი არ უნდა ჰქონოდა.

კ. ბოროზდინი თავის მოგონებებში განიხილავს ნ. კოლიუბაკინის საიდუმლო წერილს, რომელიც ნათელყოფს, თუ რა წინააღმდეგობების გადალახვა უწევდა სადადიანოს ერთგულ მეურვეს. წერილში ვკითხულობთ: „ყიფიანმა თვითონაც კარგად იცის, რომ 80 000 ათასი მანეთის აკრეფა ყოვლად შეუძლებელია, მაგრამ ამდენად იმიტომ დააფასა სადადიანო გლეხების გადასახადი, რომ, თუ ვინიცობაა, სამეგრელოს სამთავრო გაუქმდა, რუსეთის მთავრობამ იცოდეს, რამდენით უნდა დააჯილდოოს მთავარი და ამით საქმე გაუადვილდესო... მთავრისათვის, რა თქმა უნდა, ხელსაყრელი იქნება სამთავროზედ ხელის აღებისთვის ამდენის ყოველწლიურის სასყიდლის მიღებაო“ (ჯოლოგუა 2007: 56-57). ასევე: „ყიფიანს დიდი ხანია ვიცნობ და, ვფიქრობ, რომ, მართალია, მთავრის ერთგულებას სცდილობს, მაგრამ კეთილგონიერებასა და სამართლიანობის გრძნობას მაინც არ უღალატებსო. ყოველსავე შემთხვევაში, ჩვენ ყველაფერს გავიგებთ და, რა თქმა უნდა, ვეცდებით, მთავრის მზრუნველის ზომასგადასულს ერთგულებას ფრთა შევაკვეცოთო“ (იქვე: 57).

დ. ყიფიანი იძულებული გახდა, პროტესტი გამოეხატა და საჩივრებით მიემართა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისა და მეფისნაცვლისთვის. სამწუხაროდ, მან მეფისნაცვლის მხარდაჭერა ვერ მიიღო. როგორც მემუარისტი წერს, ალ. ბარიათინსკის დაპირებული მარჯვენა ხელი გენერალ-გუბერნატორისა და მის წინააღმდეგ აღიმართა (ყიფიანი 1930: 59).

<sup>5</sup> 1858-1861 წლებში ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი და გუბერნიის ჯარების სარდალი იყო გიორგი რევაზის (რომანის, რომანოვის) ძე ერისთავი. ის იყო ერეკლე II-ის შვილიშვილი (ანასტასია ბატონიშვილის ვაჟი), 1832 წლის შემთქმულების მონაწილე.

<sup>6</sup> კოლიუბაკინი ნიკოლოზ პეტრეს ძე (1810-1868), რუსი სამხედრო ადმინისტრატორი კავკასიაში, გენერალ-მაიორი (1857). 1834 წელს სამხედრო დისციპლინის დარღვევისათვის ოფიცრობიდან ჯარისკაცად ჩამოაქვეითეს და საქართველოში გააგზავნეს. 1837 წელს ოფიცრობა დაიბრუნა. 1845 წელს დაინიშნა ჭარ-ბელაქის ოლქის უფროსად, 1850 წელს – ქუთაისის ვიცე-გუბერნატორად, 1851-54 წლებში იყო შავი ზღვის სანაპირო ხაზის III განყოფილების უფროსი, 1857 წელს – ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი. 1857 წელს – სამეგრელოს მმართველი, 1858 წელს – ერევნის, 1861 წელს – ისევ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი და ჯარების სარდალი. 1863 წელს სენატორად დაინიშნა და კავკასიიდან გაემგზავრა. აქვს რამდენიმე ნაშრომი საქართველოს შესახებ (ქსე 1980: 582).

დ. ყიფიანმა მეფისნაცვალს მიმართა, გაეთავისუფლებინა მეურვის თანამდებობიდან, რადგან მისთვის გაუგებარი იყო საკუთარი მოვალეობანი, „ხოლო მოვალეობას, რომელიც არ გესმის, ვერ ასრულებ“ (იქვე). მეფისნაცვალმა უფლება არ მისცა, მხოლოდ რვა თვის ან ერთი წლის შემდეგ დართო ნება. „ამ ხნის განმავლობაში ჩაბარებული ქონება მთლად განიავდება და პასუხისმგებელი კი მარტო მე ვიქნები ღვთის წინაშეც, კანონისაც და ჩემი შვილების წინაშეც. იმის ნება მაინც მიბოძეთ, რომ ყველაფერი შევატყობინო კნეინას, რადგან აპეკით მას ვემორჩილები“ – სთხოვა დ. ყიფიანმა მეფისნაცვალს. თანხმობის შემდეგ მან საქმის ვითარება პეტერბურგში ეკ. დადიანს შეატყობინა. განრისხებულმა მთავრინამ ვ. ნ. სემიონოვს, მეფისნაცვლის საბჭოს ყოფილ წევრს, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს, კავკასიის ოლქის კომიტეტში<sup>7</sup> საჩივრის შეტანა დაავალა. ამავე დროს მეფისნაცვლის პირით დ. ყიფიანიც დაიბარეს პეტერბურგში: „წადით და ღმერთი იყოს თქვენი შემწე; მოიქეცით ისე, როგორც გინდოდეთ, მე არაფერში ხელს არ შეგიშლით... მე ჩემს გადაწყვეტილებას ვერ შევცვლი და თუ იქ იმის სასარგებლოდ გადასწყვეტენ, მე ეს არ მეწყინება“ (ყიფიანი 1930: 60).

დ. ყიფიანი პეტერბურგში 1860 წლის აპრილში ჩავიდა. საქმე მთელი წელიწადი გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში დ. ყიფიანს პირადად ეკითხებოდნენ კავკასიის ოლქის კომიტეტის საქმეთა მმართველი ვლ. ბუტკოვი, კომიტეტის წევრი გრაფი დ. ბლუდოვი და თავმჯდომარე ალ. ორლოვი. როგორც მემუარისტი ამბობს, მისი განმარტებანი დამყარებული იყო იმ ცნობებზე, რომლებიც უკვე საქმეში იდო.

1861 წლის აპრილში გამოვიდა კომიტეტის გადაწყვეტილება, რომლითაც „სამეგრელოს მთავრის ყოველი დარღვეული ქონებრივი უფლება აღდგენილი იყო, ხოლო მოქმედება ადგილობრივ ხელისუფალთა, რომელთაც ბარიათინსკი ეხმარებოდა, სრულებით უარყოფილი“ (იქვე: 60).

მემუარისტის თქმით, მეფისნაცვალმა ალ. ბარიათინსკიმ კავკასიის ოლქის კომიტეტის ეს გადაწყვეტილება დ. ყიფიანის გავლენას მიაწერა. მან საზღვარგარეთიდან თბილისში ბრძანება გამოაგზავნა და ის საჯარო თანამდებობიდან გაათავისუფლა. ასე დასრულდა დ. ყიფიანის სამსახური მთავრობაში, მეფისნაცვლის საბჭოში (1857-1862).

ამის თაობაზე კ. ბოროზდინი წერს: „ვაცად განტევებისად ყიფიანი შეიქმნა – მთელი საქმე ბარიათინსკის სურვილისამებრ იქმნა გადაკეთებული, აგრეთვე იმ გეგმით, რა გეგმაც პირველში ნ. პ. კოლიუბაკინმა წარმოადგინა. როდესაც ხელმწიფემ ბუტკოვისგან შეიტყო, თუ ვინ იყო დამნაშავე, ბრძანა: [ყიფიანი] სამსახურიდან დათხოვნილ იქმნასო.“

ორმა თუ სამმა კვირამ რომ განვლო გახარებულის ყიფიანის ჩამოსვლის შემდეგ, ტფილისში მეორე დებულება მიიღეს სახელმწიფო საბჭოსი, უმაღლესად დამტკიცებული, და გრიგოლ ორბელიანს<sup>8</sup>

<sup>7</sup> კავკასიის კომიტეტი – პეტერბურგში მოქმედი საგანგებო უწყებათაშორისი ორგანო. იქ განიხილებოდა ისეთი საკითხები, რომელთა შესახებ ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღება აღემატებოდა როგორც კავკასიის ხელისუფლების, ისე იმპერიის ცალკეული სამინისტროების უფლებამოსილებას (ყიფიანი 2020: 320).

<sup>8</sup> გრ. ორბელიანი ამ დროს მეფისნაცვლის მოვალეობას ასრულებდა.

მოწერილობა მოუვიდა: დ. ყიფიანი მოიხმე და გამოუცხადე, ან თხოვნა შემოიტანოს სამსახურიდან გასვლის შესახებ, ან, თუ ეს არ აღასრულოს, სამსახურიდან დაითხოვე. ყიფიანს ეს რომ გამოუცხადეს, თავისი ნებით სამსახურიდან გასვლა არ ინდომა და დათხოვნილ იქმნა“ (ჯოლოგუა 2007: 67).

როგორც დ. ყიფიანი აღნიშნავს, ამ ამბის შემდეგ მალევე დამთავრდა ბარიათინსკის მეფისნაცვლობა კავკასიაში. ის აქ ვერ დაბრუნდებოდა ერთი სკანდალის გამო. მან ცოლი წაართვა თავის ადიუტანტს და მასთან დუელით გასწორების შემდეგ ჯვარი დაიწერა.

მემუარისტი აქ წყვეტს თხრობას სადადიანოში თავისი საქმიანობის შესახებ (1857-1861). როგორც ცნობილია, ის სამთავროს გაუქმებამდე (1867) იცავდა დადიანების ინტერესებს, რაზეც ის, სამწუხაროდ, მემუარებში აღარ საუბრობს. ამის მიუხედავად, დ. ყიფიანის მოგონებები მეტად მრავლისმთქმელია. მათში იხატება გარემო, რომელშიც ქართველ მოღვაწეებს ცხოვრება და მოღვაწეობა უხდებოდათ. მემუარისტი, როგორც ყოველთვის, გულწრფელია და პირუთვნელი. ის არ ცრუობს, ფაქტებს არ აზვიადებს. დ. ყიფიანის მოგონებები სრულ თანხვედრაშია სხვა ისტორიულ წყაროებთან.

მემუარებში იკვეთება დ. ყიფიანის პიროვნული თვისებები: წესიერება, პასუხისმგებლობა, თავდადება, ერთგულება, ბრძოლისუნარიანობა, კანონმორჩილება. საინტერესოა დამპყრობლების – რუსი მოხელეების პორტრეტებიც (კავკასიის მეფისნაცვალი ალ. ბარიათინსკი, სამეგრელოს მმართველი ნ. კოლიუბაკინი, სენაკის მაზრის უფროსი კ. ბოროზდინი), რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობდნენ საქართველოში რუსული მმართველობის გასამყარებლად და გასაძლიერებლად.

#### დამოწმებული ლიტერატურა

**ლორთქიფანიძე... 2012:** ლორთქიფანიძე მ., ჯაფარიძე ო., მუსხელი-შვილი დ., მეტრეველი რ., საქართველოს ისტორია XIX-XX საუკუნეებში, ტ. IV. თბილისი, 2012.

**ჯოლოგუა 2007:** საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი. ტ. II, შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. თბილისი, 2007.

**ქსე 1980:** ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. V. თბილისი, 1980.

**ყიფიანი 1930:** დ. ყიფიანი, მემუარები. ტფილისი, 1930.

**ყიფიანი 2020:** ყიფიანი დ., თხზულებანი. ტ. V, ავტობიოგრაფიული ჩანაწერები, დღიურები, მემუარები. შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. თბილისი, 2020.

**ხანთაძე 1977:** ხანთაძე შ., ბოროზდინი კორნელი ალექსანდრეს ძე. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. II. თბილისი, 1977.